

ინსაიდერული ინფორმაციით გამოყენებით ვაჭრობა და ბაზრის  
მანიპულაციის აღკვეთის მექანიზმების საქართველოსა და ამერიკის  
შეერთებულ შტატებში

ანი ილაური

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლაში სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიშების  
მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე, ასოცირებული  
პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

## განაცხადი

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ იგი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, გარდა იმ მასალისა, რომელიც ნაშრომში სათანადოდ მოხსენიებული ან ციტირებულია წესების დაცვით.

ანი ილაური

05.07.2021

## აბსტრაქტი

კაპიტალის ბაზარზე ინვესტორთა ინტერესების დაცვა ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენებით ვაჭრობისა და ბაზრის მანიპულაციის მომწესრიგებელი ეფექტური კანონმდებლობის უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია.

წინამდებარე ნაშრომი წარმოაჩენს საერთაშორისო დონეზე საკითხის მუდმივ აქტუალურობას. განიხილება თანამედროვე ქართული და ამერიკული საკანონმდებლო ჩარჩო, უახლესი ნორმატიული ცვლილებები.

ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) საფონდო ბირჟებზე არსებული მრავალწლოვანი გამოცდილების გათვალისწინება, საქართველოს ნაკლებ განვითარებული ბაზრისათვის პრობლემური ასპექტების თავიდან აცილების შესაძლებლობაა.

კვლევისას გამოყენებული იქნება იურიდიული კვლევის მეთოდოლოგია, სამართლებრივი ზემოქმედების ანალიზი, შედარებითი მეთოდი, დოქტრინალური ანალიზი, ისტორიული სამართლებრივი ანალიზი.

საბოლოოდ პასუხი გაეცემა თუ რატომ წარმოადგენს გადაულახავ პრობლემას კაპიტალის ბაზარზე ინსაიდერული ინფორმაციის დაცვა და მანიპულაციური ქმედებების აღკვეთა. რა ფორმით ირღვევა დაწესებული წესები, როგორ ხდება მათი პრევენცირება, ვინ არიან რეგულირებადი ბაზრის მონაწილეები და კონტროლის განმახორციელებელი სუბიექტები. ნათელი გახდება ინსაიდერული ინფორმაციის დაცვისათვის საჭირო პრაქტიკული საკითხები და გაიცემა რეკომენდაციები.

საძიებო სიტყვები: კაპიტალის ბაზარი, ინსაიდერული ინფორმაცია, ემიტენტი, ანდერრაითერი, ანგარიშვალდებული საწარმო, პირველადი ბაზარი, მეორადი ბაზარი, ინსაიდერული ვაჭრობა, ბაზრის მანიპულაცია.

## Abstract

Protecting the interests of investors at the capital market is impossible without having an effective legislation which would regulate insider trading and market manipulation

The present paper demonstrates the constant global relevance of the aforementioned issue. The modern Georgian and USA legal frameworks with the most recent normative changes shall be reviewed.

Taking into account the longstanding experience of the USA exchanges constitutes the opportunity for the less developed capital market of Georgia to avoid certain problems.

The following legal research methods shall be used within the scope of this paper including but not limited to analyses of legal influence, comparative approach, doctrinal analyses and analyses of legal history.

The present paper eventually aims to ascertain the following: why protection of insider information and eradication of manipulative conducts constitute a crucial problem at capital market? How are the imposed rules violated? How are such violations prevented? Who are the participants of the regulated market and who are the subjects carrying out control? The practical issues regarding the protection of insider information shall be clarified and certain recommendations shall be made.

**Key words:** capital market, insider information, issuer, underwriter, a reporting company, primary market, secondary market, insider trading, market manipulation.